



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა “ხელოვნების ისტორია და თეორია
(ხელოვნებათმცოდნეობა)”

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2023 წლის 27 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2023 წლის 8 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა.....	21
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	30
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	33
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	46

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალია ტურაბელიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Art History and Theory
უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0213 - სახვითი ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 05.12.2018 გადაწყვეტილება 1189
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴**
 - აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2018 წლიდან. ახლა ის წარმოადგენს 4 წლიან საბაკალავრო პროგრამას, რომელიც შედგება 240 ECTS-ისგან, პროგრამის მოდიფიცირება მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანალიზის, სტუდენტების მოსაზრებების, შრომის ბაზრის კვლევის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების გათვალისწინებით. სილაბუსები განახლდა, ახალი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი, გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა და განახლდა სასწავლო რესურსი.

 - **ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**
 - ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 27 სექტემბერს; დაიწყო რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეხვედრით და გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში. შეხვედრები შედგა თვითმფეასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტი ასევე მოიცავდა ობიექტები, კერძოდ, ბიბლიოთეკის, IT სერვისების და აუდიტორიების დათვალიერებას.

 - **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - როგორც გამოვლინდა ფაკულტეტის ყველა წევრი, დაწყებული უმაღლესი მმართველი გუნდიდან მოწვეულ პერსონალის ჩათვლით, ძალიან უჭერს მხარს სამაგისტრო პროგრამას. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს დიდი ენთუზიაზმი და მხარდაჭერა, რამაც ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვა; ასევე ძალიან დადებითი განწყობა გამოავლინეს დაინტერესებულმა მხარეებმა. აშკარად გამოჩნდა, რომ უნივერსიტეტში არის სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ამალღებს ხარისხს, ხელს უწყობს თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას. ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი შესწავლილი იყო და ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად, მკაფიო მიზნებითა და ამოცანებით, აგრეთვე სწავლა-სწავლების აქტივობების მკაფიო აღწერილობით.
- ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის, ისევე როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის გუნდები ერთმანეთთან კავშირშია და ეს უზრუნველყოფს ხარისხის შესანარჩუნებლად საფუძვლიან სისტემას.
- უნივერსიტეტი მხარს უჭერს სხვადასხვა ფაკულტეტს ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკაში. დაწესებულებაში არის ახალი პროგრამებისთვის საჭირო ხელსაყრელი პირობები.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობა სტანდარტებთან, კერძოდ:

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - სტანდარტი 3: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 4: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 5: სრული შესაბამისობა
-
- **რეკომენდაციები**
 - 1.4 გადაიხედოს დარგის პრაქტიკული კურსის სილაბუსს, რათა იგი შეესაბამებოდეს სხვა პრაქტიკული კურსების მთელ სისტემას
 - 1.5 დაზუსტდეს ქართული ურბანული არქიტექტურის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა და მეთოდოლოგია
 - 1.5 დაზუსტდეს მუზეოლოგიის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა და მეთოდოლოგია
-
- 2.1 ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ხელოვნების ისტორიის პროგრამის აღწერილობაში მითითებულ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებს უნდა დაემატოს იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულოა ორ ეროვნულ გამოცდასთან ერთად (ე.წ. მესამე ეროვნული საგამოცდო საგანი)
 - 2.2 გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.
 - 2.2 საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური წერის პრინციპების დაცვით სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას.
-
- 2.4 შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის ერთჯერადი შეფასების წესი და ჩამოყალიბდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად.
 - 2.4 შეიცვალოს პლაგიატისთვის დასაშვები 40% და დადგინდეს დასაშვებ პროცენტად 12% და/ან 15%.
-
- 4.1 უსდ-მ თავი აარიდოს ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბარებული აკადემიური წოდების მქონე პირის ჩართვას სასწავლო პროცესში II კატეგორიის სპეციალისტის რანგში.
-
- 4.4 გადავიდა რჩევებში

○ 5.1 ამოღებულ იქნა

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-
- 1.3 მიზანშეწონილია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების მოთხოვნებს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირების წესი.
- 1.3 მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ერთად.
- 1.4 მიზანშეწონილია, გაუმჯობესდეს პროგრამის სტრუქტურა თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული საგნების დამატებით, როგორცაა პოსტმოდერნიზმის, ნეოლიბერალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიები. ამის მიღწევა შესაძლებელია თანამედროვე ხელოვნების ახალი კურსის დამატებით ან არსებული კურსის სახელწოდებით „მე-20 საუკუნის ხელოვნება“ გაძლიერებით.

▪ 1.5 სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში სასურველ პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებზე.

-
- 2.1 არჩევითი საგნების დიაპაზონში სასურველია უპირატესობა მიენიჭოს სახვითი ხელოვნების საგანს.
- 2.1 სასურველია დაინერგოს უნივერსიტეტის ღია კარის დღის პრაქტიკა.
-
- 2.2 სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომების თემების შინაარსი.
- 2.2 სასურველია საველე პრაქტიკული კურსი დაიგეგმოს მეორე სასწავლო წლიდან, შუა საუკუნეების ქართული კურსების თეორიულ საგნებთან ერთად და გადანაწილდეს რამდენიმე სემესტრზე; გააქტიურდეს პრაქტიკული მუშაობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისა და მათი გაფორმების მიმართულებით როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
- 2.3 სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში სასურველ პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებზე.

▪

- 4.1 აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ისარგლებლებს მათი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდით, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ჟურნალებში კვლევების წარდგენითა და გამოქვეყნებით.
- 4.1 პრობლემის მოსაგვარებლად, სასურველია, შემუშავდეს და გაფორმდეს მემორანდუმები ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

- 4.1 სასურველია, მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მქონე პირები ეტაპობრივად ჩაერთონ სასწავლო პროცესში მოწვეული კადრების სახით.
- 4.4 ფიზიკური რესურსებისა და მთელი სივრცის განახლება გარკვეული პირობების გათვალისწინებით უკეთესი ვენტილაციისთვის, განათებისთვის და ა.შ.
- 4.4 განახლდეს ბიბლიოთეკა როგორც ფიზიკური სივრცის, ასევე წიგნების რაოდენობის თვალისაზრისით. ბიბლიოთეკას სჭირდება კარგი ინვესტიცია, რათა სტუდენტებს მიაწოდოს უახლესი ბიბლიოგრაფია თანამედროვე ხელოვნების დიზაინის საერთაშორისო სფეროებიდან, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში და ეს ბიბლიოგრაფია საბოლოოდ უნდა აისახოს სასწავლო გეგმაში და კურსის სილაბუსებში
-
- 4.5 შემუშავდეს პროგრამის ინდივიდუალური ბიუჯეტი. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.
- 4.5 უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს ფინანსების მოზიდვის სტრატეგია პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.
- 5.3 განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ საკლასო მუშაობაზე დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**
- **ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფმა არ გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიცია 1.4; 1.5; 2.1; 2.2 და 2.4 კომპონენტებთან მიმართებით, შესაბამისად ამ კომპონენტებში რეკომენდაციები და შეფასებები იგივე დარჩა. 2.4 კომპონენტში გაერთიანდა ორი რეკომენდაცია, შესაბამისად ამ კომპონენტში დარჩა 2 რეკომენდაცია, ნაცვლად სამისა.

2.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა, დუბლირების გამო.

4.4 რეკომენდაციასთან მიმართებით, ჯგუფი იზიარებს უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციას, შესაბამისად გადავიდა რჩევებში.

ასევე გაზიარებულ იქნა უსდ-ს პოზიცია 5.1 რეკომენდაციასთან მიმართებით და რადგან ეს რეკომენდაცია მსგავსია 2.4 კომპონენტში მოცემულ რეკომენდაციისა, ასევე ამოღებულ იქნა.

ასევე, უნივერსიტეტმა აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინა 2023 წლის 1 მაისს და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მაშინ მოქმედ

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორსა და კვალიფიკაციების ჩარჩოს. 2023 წლის ივლისში, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ხელოვნების დარგებში მოხდა გარკვეული ცვლილებები, ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიცვალა ზოგიერთი კვალიფიკაციის ფორმულირება. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტმა უკვე განმარტა ზემოაღნიშნული საკითხი და ცენტრს გაუგზავნა ოფიციალური წერილი, პროგრამის კვალიფიკაცია არის „ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში“.

- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწეული მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (გვ. 3-4), პროგრამა აკრედიტირებული იყო 05.12.2018, 1189 გადაწყვეტილებით. პროგრამა მოდიფიცირდა, წინა ექსპერტთა გუნდის რეკომენდაციებისა და რჩევების შესაბამისად, კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი მახასიათებლების სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დარეგულირდა მიზნებისა და ამოცანების სწავლის შედეგები. კვალიფიკაციის სათაურის ფორმულირება სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ბაკალავრი.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექსს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშით მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც გაგზავნილი იყო ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის დროს ჯგუფის მიერ დისკუსიების შედეგად მიღებულ მიგნებებზე დაყრდნობით (შეხვედრები რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან) დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, ასევე უნივერსიტეტის ხედვას და მისიის ზოგად მიზნებსა და ამოცანებს, რაც გამოიხატება კურსდამთავრებულთა მიღწევებით, რომლებიც შემოქმედებით ინდუსტრიაში მაღალ პროფესიონალებად იქცნენ, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სადოქტორო პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი; სასწავლო სფეროს დისციპლინის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამის მიზნების წვლილი საზოგადოებისთვის და გამოიხატება საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაში, რაც გულისხმობს ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას ხელოვნებისა და დიზაინის ისტორიისა და თეორიის სფეროებში. პროგრამის მიზნები ასევე საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს ჩამოაყალიბონ პროფესიული ღირებულებები, დააფასონ თანამედროვე სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება და საკუთარი თეორიული და ინტელექტუალური პოზიციის როლი თეორიასა და ისტორიაში, განსაკუთრებით მხატვრული, განათლების, კვლევის, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის, ურბანული და მხატვრულ-შემოქმედებითი მიმართულებების, ასევე კულტურული ტურიზმის მიმართულებით. პროგრამის

მიზნები ასევე ჩამოყალიბდა სხვადასხვა მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელი იყო თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასაკვალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე გაგზავნილ, თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ვიზიტის დროს, ჯგუფის მიერ დისკუსიების შედეგად მიღებულ მიგნებებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და შეესაბამება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დარგის მოთხოვნებს.

სწავლის შედეგების ფორმულირება აღმოჩნდა საფუძვლიანი ეტაპობრივი პროცესი და მასში გათვალისწინებულია საბაკალავრო პროგრამის დარგობრივი დისციპლინის თავისებურებები. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და დამსაქმებლების/გარე შემფასებლების ჩართულობას. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აძლევს სტუდენტებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რომ არ შეწყვიტონ სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესი პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და მის შინაარსს და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის სფეროს დეტალურ აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, რომელიც არის ბაკალავრის ხარისხი. გარდა ამისა, ეს სწავლის შედეგები თანმიმდევრულია და ასახავს სწავლის სფეროს თავისებურებებს და შრომის ბაზრის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს.

სწავლის შედეგები დაყოფილია 3 მთავარ ნაწილად:

- ცოდნა და გაცნობიერება
- პრაქტიკული უნარები
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ამ 3 კატეგორიის საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგები ნათელია და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ პროფესიონალები უახლესი ცოდნითა და უნარებით შემოქმედებით ინდუსტრიაში და დასაქმდნენ ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნების თეორიასთან, ფილოსოფიასთან, კრიტიკასთან და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულარულად ხორციელდება. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის შეფასება ხორციელდება სემესტრის მიხედვით. რეგულარულად ხდება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება ანალიზის მიზნით. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება შეფასების წყაროებიდან მიღებული მონაცემების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი დეპარტამენტისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს. სასწავლო პროცესს მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი (სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი), ასევე ირიბი (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა) შეფასების მეთოდები. „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესის“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება შემდეგნაირად:

„... თეორიული მიმართულება: საუკეთესო მოსწრების სტუდენტების რაოდენობა (91-100 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს; დაბალი აკადემიური შედეგების რაოდენობა (51-60 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (81-90 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (71-80 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 30%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (61-70 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 25%-ს.

პრაქტიკული მიმართულება: საუკეთესო მოსწრების სტუდენტების რაოდენობა (91-100 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 35%-ს; დაბალი აკადემიური შედეგების რაოდენობა (51-60 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 5%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (81-90 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 30%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (71-80 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 20%-ს; საშუალო აკადემიური შედეგების რაოდენობა (61-70 ქულა) არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს...

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზემოთ აღნიშნული მეთოდების გარდა, საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ მეთოდს: რუკა განსაზღვრავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებს და ადგენს კონკრეტულ კრიტერიუმებს თითოეული სწავლის შედეგისთვის. იგი ასევე ადგენს მონაცემთა შეგროვების ვადებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც განიხილება როგორც დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, შემუშავებას, ხელშეწყობას და მონიტორინგს, ასევე კოორდინაციას უწევს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას.

საბაკალავრო ნაშრომს დაცვის კომისია აფასებს ერთჯერადად დაცვის დროს, BATU-ს მიერ შემუშავებული საბაკალავრო ნაშრომის შეფასების დებულების და დაცვის ოქმის თანახმად.

- საბაკალავრო ნაშრომი არის უმაღლესი სასწავლებლების პროგრამის 10 კრედიტიანი საგანმანათლებლო კურსი, კვლევითი ელემენტებით. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანება (2007 წლის 5 იანვარი) / მუხლი 4. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში/ 2. „დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმით - საბოლოო შეფასებით. სემესტრის (ტრიმესტრის) განმავლობაში სტუდენტის დატვირთვის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს: ა) სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუალედური შეფასებას; გ) შეფასებას დასკვნით გამოცდაზე“.

შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესს უნდა დაემატოს შუალედური შეფასების ეტაპი.

კერძოდ, შეფასების ფორმად შეიძლება ჩაითვალოს საბაკალავრო ნაშრომისთვის რეცენზენტის დანიშვნა, რომლის რეცენზიაც გახდება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მიღების ერთ-ერთი წინაპირობა.

- აღსანიშნავია საგანმანათლებლო პროგრამის (2018-2023) კურსდამთავრებულთა მცირე რაოდენობა. არსებული შედეგებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია დაბალი ინდექსის მიზეზების კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ერთად, რათა შეფასდეს, თუ რით არის პრობლემა

გამოწვეული - გარე, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, თუ უნივერსიტეტში და საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული ხარვეზებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების რეგულირების წესი: http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/ირიბი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
- თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმები და მონიტორინგის ანგარიშები
- შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის მიხედვით
- მოსწავლეთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- უნივერსიტეტის მუშაობის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების მოთხოვნებს დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის რეცენზირების წესი.
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზების კვლევა ფოკუს ჯგუფებთან ერთად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე გაგზავნილ, თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე ვიზიტის დროს, ჯგუფის მიერ დისკუსიების შედეგად მიღებულ მიგნებებზე დაყრდნობით დადგინდა (შეხვედრები გაიმართა რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან), რომ ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში ბაკალავრის ხარისხის 4-წლიან ციკლს აქვს მყარი და ძალიან მკაფიო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი, კომპეტენტური პროფესიონალების მომზადებას შემოქმედებით ინდუსტრიაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული სტრუქტურა დიდი ძალისხმევით შედეგად აგებულია საქართველოს რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონის პროცესს და კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება ბაკალავრის ხარისხის კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციის“, ასევე სხვადასხვა მოსაზრებების, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულებისა და დაინტერესებული მხარეების, გათვალისწინებით; სამიზნე ნიშნულებად აღებული იქნა მაღალრეიტინგული ინსტიტუციები როგორც ევროკავშირიდან ისე აშშ-დან.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის დამაკმაყოფილებელ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების საშუალებას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით.

თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურა შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს თანამედროვე ხელოვნების თეორიების დამატებით. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს თანამედროვე ხელოვნების როლსა და მნიშვნელობაზე, რისთვისაც უნდა დაემატოს თეორიები პოსტმოდერნიზმზე, ნეოლიბერალიზმსა და პოსტკოლონიალიზმზე, რაც უზრუნველყოფს დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილების უკეთ გაგებას და ასევე ისტორიოგრაფიის ეგზისტენციალური დებატების უკეთ გაანალიზებას. ეს ასევე განავითარებს პროგრამის შინაარსს და დონეს, ინტერნაციონალიზაციის დამატებითი საკვანძო საკითხების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ბაკალავრიატის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად და BATU-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.

პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან: ძირითადი საგნები – 120 კრედიტი, არჩევითი კურსები – 25 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი – 10 კრედიტი, სავალდებულო საფაკულტეტო საგნები – 30 კრედიტი, სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნები – 15 კრედიტი, არჩევითი კურსები/ბლოკები/მაინორის საგნები – 40 კრედიტი. პროგრამაში წარმოდგენილი სწავლების კომპონენტების მთლიანობა, მათი მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელების პირველი სემესტრი ითვალისწინებს სავალდებულო საუნივერსიტეტო და სავალდებულო საფაკულტეტო დისციპლინებს; სწავლების მეორე სემესტრიდან ყოველი სემესტრი მოიცავს ძირითად კურსებს, არჩევით დისციპლინებს; მეხუთე სემესტრიდან ემატება დამატებითი სპეციალიზაცია/არჩევითი ბლოკები/არჩევითი კურსები. პროგრამა ითვალისწინებს კურსების ქრონოლოგიურ, ლოგიკურ ბმას, თანმიმდევრულობას; მათი შინაარსი ვითარდება ზოგადიდან კონკრეტულამდე.

საგანმანათლებლო კომპონენტების განაწილება სემესტრების მიხედვით ლოგიკური და თანმიმდევრულია; იგი ეფუძნება ხელოვნების ისტორიის სწავლების ქრონოლოგიურ პრინციპს. შენარჩუნებულია ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს შორის.

ხელოვნების ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა, თეორიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, მოიცავს პრაქტიკულ, სავალდებულო საგანმანათლებლო კურსებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

- ბოლო სემესტრში დაგეგმილია სავალდებულო პრაქტიკული სასწავლო კურსის (5 კრედიტი) ჩატარება. კურსის გავლის წინაპირობებია: უძველესი ქართული ხუროთმოძღვრება I, II; შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება (ქვის რელიეფები, ხელოვნების ნიმუშები); შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა (ფრესკა, ხატწერა, მინიატურა); ქალაქური არქიტექტურა საქართველოში მე-19-20 საუკუნეებში; ქართული სახვითი ხელოვნება XIX - XX საუკუნეებში (8C4-1; 8C4-2; 8C8; 8C15; 8C18; 8C19). შესაბამისად, კურსის სილაბუსი მოიცავს პრაქტიკულ მუშაობას სამუზეუმო ექსპონატებზე (რელიეფი, ლითონის ნამუშევრები, დაზგური ნამუშევრები, ექსპოზიციის მიმოხილვა); პრაქტიკული სამუშაოები ურბანულ გარემოში (ქუჩის რეკლამა, ურბანული ქანდაკება, ქალაქის

განვითარება); კურსი ითვალისწინებს ორი საველე პრაქტიკული ტრენინგის ჩატარებას არქიტექტურისა და მონუმენტური მხატვრობის ძეგლებზე.

პარალელურად, ჩაშენებული პრაქტიკული სამუშაოები მუზეუმოლოგიაში, იკონოგრაფიის საფუძვლებსა და მე-19-20 სს.-ის ქართულ ქალაქურ არქიტექტურაში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განკუთვნილია შესაბამისი თეორიული კურსებისთვის (მუზეუმოლოგია, იკონოგრაფიის საფუძვლები, ქართული ურბანული არქიტექტურა XIX-XX საუკუნეებში. სს.ს.).

ზემოაღნიშნული საკითხების შედეგად შეიმჩნევა საგნების გადაფარვა დარგის პრაქტიკულ კურსსა და სხვა პრაქტიკულ კურსებში (იკონოგრაფიის საფუძვლები, მუზეუმოლოგია, XIX-XX სს. ქართული ქალაქური არქიტექტურა).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სავალდებულოა დარგის პრაქტიკული კურსის სილაბუსის გადახედვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა სხვა პრაქტიკული კურსების ინტეგრალურ სისტემასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.)

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს დარგის პრაქტიკული კურსის სილაბუსი, რათა ის შეესაბამებოდეს სხვა პრაქტიკული კურსების მთელ სისტემას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, გაუმჯობესდეს პროგრამის სტრუქტურა თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული საგნების დამატებით, როგორცაა პოსტმოდერნიზმის, ნეოლიბერალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის თეორიები. ამის მიღწევა შესაძლებელია თანამედროვე ხელოვნების ახალი კურსის დამატებით ან არსებული კურსის სახელწოდებით „მე-20 საუკუნის ხელოვნება“ გაძლიერებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაგზავნილი იქნა ვიზიტამდე, ასევე გუნდის დისკუსიების შედეგებად მიღებული მიგნებების საფუძველზე, დადგინდა, რომ ხელოვნების ისტორიასა და თეორიის საბაკალავრო 4-წლიანი ციკლი და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის შედგენილი და ნათლად აღწერს სწავლა-სწავლების აქტივობებს. ყველა სასწავლო მასალა, როგორცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები მითითებულია სილაბუსებში.

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან განსაზღვრავს და ასაბუთებს პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებას. პროგრამისთვის ECTS-ის ოდენობა არის 240, წლიურად განსაზღვრულია 60 კრედიტი და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. 1 ECTS უდრის 25 საათს.

თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, და ისინი ჩამოთვლილია თვითშეფასების დანართში. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სწავლა-სწავლების სხვა რესურსი შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს

კვლევებს აკადემიური კურსების სპეციფიკისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
- კურსის სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები
-

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს ქართული ურბანული არქიტექტურის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა და მეთოდოლოგია
- დაზუსტდეს მუზეოლოგიის პრაქტიკულ კურსში პრაქტიკული სამუშაოს აღწერა და მეთოდოლოგია

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს სასწავლებელს აქვს პროგრამებზე მიღების გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების განხორციელების წესის მოთხოვნების დაცვით.

- BATU-ს ვებგვერდზე განთავსებული ხელოვნების ისტორიის პროგრამის აღწერილობაში მოცემული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეიცავს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელთა ჩაბარებაც აუცილებელია ორ ეროვნულ გამოცდასთან ერთად (ეროვნული გამოცდის ე.წ. მესამე საგანი). ეს ინფორმაცია არ არის გათვალისწინებული 2023-2024 წლების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე პოტენციური სტუდენტების მიღების დებულების დოკუმენტშიც, რომელიც განთავსებულია BATU-ს ვებგვერდზე (ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ შემოქმედებით სფეროებში მოწყობილი ტურების მითითებით). არჩევითი საგნების შესახებ ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში უნდა დაემატოს BATU-ს ვებგვერდზე განთავსებული ხელოვნების ისტორიის პროგრამის აღწერას.
- უმაღლესი განათლების პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტის დროს, პროგრამის ხელმძღვანელთან გამართული ინტერვიუს საფუძველზე, დაზუსტდა, რომ გარდა სავალდებულო საგნებისა (ქართული ენა, უცხო ენა), პროგრამაზე დაშვების მოთხოვნა მოიცავს არჩევით საგნებს – სახვითი ხელოვნება, ისტორია, ქართული ლიტერატურა; საგნებისთვის დადგენილია თანაბარი კვოტები.

სწავლის სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ პროგრამაში დაშვების მოთხოვნები ლოგიკურად იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სასურველია, არჩევითი საგნების ფარგლებში უპირატესობა სახვითი ხელოვნების საგანს მიენიჭოს, რათა უკეთ მომზადებული კონტინგენტი იყოს ჩართული.

პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, სასურველია პროგრამის ფარგლებში დაინერგოს უნივერსიტეტის ღია კარის დღის პრაქტიკა, რათა პოტენციურ კონტიგენტს მიეწოდოს ინფორმაცია უშუალოდ კითხვა-პასუხის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://www.batu.edu.ge>
- 2023-2024 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის დებულება (PDF)
- ხელოვნების შემსწავლელი პროგრამის აღწერა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ხელოვნების ისტორიის პროგრამის აღწერილობაში მითითებულ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებს უნდა დაემატოს იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც სავალდებულოა ორ ეროვნულ გამოცდასთან ერთად (ე.წ. მესამე ეროვნული საგამოცდო საგანი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არჩევითი საგნების დიაპაზონში სასურველია უპირატესობა მიენიჭოს სახვითი ხელოვნების საგანს.
- სასურველია დაინერგოს უნივერსიტეტის ღია კარის დღის პრაქტიკა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულია სწავლის შედეგების შესაბამისად – ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, სასწავლო კურსები ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს საგნებში „მუზეუმოლოგია“, „ქრისტიანული იკონოგრაფიის საფუძვლები“ და „ქართული ურბანული არქიტექტურა მე-19-20 საუკუნეებში“, ასევე დამოუკიდებელი სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული აქტივობების ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია პრაქტიკული კურსის „საველე პრაქტიკის“ გაძლიერება დარგის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების აქტუალობის გათვალისწინებით; სხვა საგნების პრაქტიკულ კურსებთან ერთად სასურველია, დაიგეგმოს საველე პრაქტიკა მეორე სასწავლო წლიდან (ნაცვლად ბოლო სემესტრისა) შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების თეორიულ კურსებთან ერთად და განაწილდეს რამდენიმე სემესტრზე; გააქტიურდეს პრაქტიკული მუშაობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და მათი დეკორაციის შესწავლის მიმართულებით როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სასწავლო კურსებში შერჩეულია სწავლებისა და შეფასების სათანადო მეთოდები, როგორცაა პრეზენტაციები, მიმოხილვები, ესეები, პროექტები სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განსავითარებლად მნიშვნელოვანია საკონფერენციო ნაშრომის მომზადება და წარდგენა, რაც დასტურდება უნივერსიტეტში გამართული უნივერსიტეტის სტუდენტური კონფერენციებით.

ჩნდება კითხვა საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნებზე, რომელიც შედგება მხოლოდ ქართული ხელოვნების კურსებისაგან: უძველესი ქართული არქიტექტურა I, II; შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება (ქვის რელიეფები, ლითონის ნამუშევრები); შუა საუკუნეების ქართული მხატვრობა (ფრესკა, ხატწერა, მინიატურა); XIX-XX საუკუნეების ქართული ქალაქური არქიტექტურა; XIX-XX

საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება. 8C4-1; 8C4-2; 8C8; 8C15; 8C18; 8C19. შესაბამისად, პროგრამის საბაკალავრო ნაშრომების თემები მოიცავს ქართული ხელოვნების საკითხებს. ვვარაუდობთ, რომ ტექნიკური პრობლემა და საბაკალავრო დისერტაციის მოთხოვნები უნდა გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

შესაბამისად, 2018-2023 წლებში დაცული საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა შემოიფარგლება მხოლოდ ქართული ხელოვნების საკითხებით. სასურველია სტუდენტებს შევთავაზოთ საბაკალავრო ნაშრომებისთვის თემატიკის ფართო არჩევანი, მით უმეტეს, რომ ქვეყნის მასშტაბით მუზეუმების კოლექციები წარმოადგენს მსოფლიო ხელოვნების სხვადასხვა სფეროს მასალებს და საგანმანათლებლო პროგრამა ამას ითვალისწინებს.

პროგრამის არასავალდებულო კომპონენტები ხელსაყრელია როგორც საექსპერტო დარგში უნარების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებული უფასო 40 კრედიტის კომპონენტი (დამატებითი სპეციალობა, არჩევითი კურსები, არჩევითი ბლოკები) სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას მოიპოვოს სამუშაო ბაზრისთვის შესაბამისი ცოდნა და უნარები; ამასთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები გულისხმობს სტუდენტების ჩართულობას ორგანიზაციის საქმიანობაში;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ხელოვნების შემსწავლელი პროგრამის აღწერა
- საბაკალავრო ნაშრომების სია (2018-2023)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

- გასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნებისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.
- საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური წერის პრინციპების დაცვით სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია საველე პრაქტიკული კურსი დაიგეგმოს მეორე სასწავლო წლიდან, შუა საუკუნეების ქართული კურსების თეორიულ საგნებთან ერთად და გადანაწილდეს რამდენიმე სემესტრზე; გააქტიურდეს პრაქტიკული მუშაობა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისა და მათი გაფორმების მიმართულებით როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
- სასურველია გაფართოვდეს საბაკალავრო ნაშრომების თემების შინაარსი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განხორციელდა პროგრამის წინა აკრედიტაციის (2018) საექსპერტო რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ. BATU უკვე იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სერვისებს.

პროგრამის კომპონენტების, შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული ამოცანების და სწავლის შედეგების

მიღწევას, რომლის ძირითადი მაჩვენებლებია სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემები და სტუდენტების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარები.

სწავლებისა და სწავლის გამოყენებითი მეთოდები გამომდინარეობს სწავლების პროგრამის შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან; ისინი დიდწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, შერჩეულია პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით და მითითებულია სილაბუსებში; თითოეულ კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ნაკრები უზრუნველყოფს მთელი პროგრამის მიერ დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

არსებობს მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში; ევრისტიკული, ახსნა-განმარტებითი, წერილობითი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის შექმნას და მის რეალიზებას ძირითად ხელოვნებისა-ისტორიის დისციპლინებში; პრაქტიკული, წერილი უნარების სწავლების მეთოდები, დემონსტრირება და მოქმედებაზე ორიენტირებული მეთოდები, ხელს უწყობს ცოდნის მოქმედებაში განხორციელების უნარის ჩამოყალიბებას; დისკუსიების/დებატების, ვერბალური და წერილობითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტი შეძლებს პრობლემების გაანალიზებას, სათანადო გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მიღებას; ჯგუფური მუშაობის, დებატების, ვერბალური, პრეზენტაციის მეთოდები ხელს უწყობს კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას - რაც გულისხმობს მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ დისკუსიებში, მოამზადოს დეტალური წერილობითი ანგარიში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე და ინფორმაციის ზეპირად გადმოცემა.

საბაკალავრო ნაშრომი ემსახურება დამოუკიდებელი სწავლისა და კვლევის უნარების განვითარებას, პიროვნული პროფესიული შესაძლებლობების შეფასებას, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას, ეროვნული და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ღირებულებების გაზიარებას და ყველაფრის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

- საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის დროს წარმოდგენილი პროგრამის საბაკალავრო ნაშრომების გაცნობისას ცხადი გახდა, რომ ნაშრომების ნაწილში არასაკმარისი ციტირებაა; არის ნამუშევრები, რომლებიც სრულიად მოკლებულია ციტირებას.

გარდა იმისა, რომ სხვისი მოსაზრებებისა და ფრაზების გამოყენება წესების დაცვის გარეშე, ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე ეწინააღმდეგება აკადემიური კეთილსინდისიერების/პლაგიატის პრინციპებს, აუცილებელია საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას სათანადო ყურადღება მიექცეს სამეცნიერო კომპონენტის გაძლიერებას აკადემიური წერის პრინციპების დაცვით.

გარდა ამისა, ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონტექსტური პრობლემა უნდა დაიხვეწოს პროგრამის სხვა პრაქტიკული კურსების სილაბუსებში:

მუზეუმოლოგიისა და ქართული ქალაქური არქიტექტურის პრაქტიკული კურსის სილაბუსი გაუგებარია კურსის პრაქტიკული საქმიანობის მეთოდთან დაკავშირებით

(მუზეუმის პრაქტიკული კურსის სასწავლო კურსი, რომელიც გულისხმობს საველე პრაქტიკას მუზეუმში, აპირებს ვიზიტების ორგანიზებას მუზეუმში).

იკონოგრაფიის პრაქტიკული კურსი, რომელიც ეფუძნება იკონოგრაფიის საფუძვლების თეორიულ კურსს, მოიცავს მხოლოდ მონუმენტურ მხატვრობის პრაქტიკას, ხოლო თეორიული კურსის მიზანია შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობასთან ერთად იკონოგრაფიის შესწავლა ხატის-ფერწერის, ლითონის დამუშავების და მინიატურის ნამუშევრების მაგალითებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, მონუმენტური მხატვრობის გარდა, იკონოგრაფიაში სასურველ პრაქტიკას დაემატოს პრაქტიკული მუშაობა ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებზე..

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის ობიექტური შეფასების სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტისთვის. სტუდენტის შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო

უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. სტუდენტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით, სადაც 60% (0-60 ქულა) ენიჭება შუალედურ შეფასებას, ხოლო 40% (0-40 ქულა) დასკვნით გამოცდას. სტუდენტს ევალება შუალედურ შეფასებაში აიღოს მინიმუმ 21 ქულა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს კურსი ჩაბარებულად ეთვლება, თუ იგი მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ დადებით შეფასებას:

დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; უარყოფითი შეფასების ორი ტიპი: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება, დამატებითი გამოცდა დაინიშნება ფინალური გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ან ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან საგანი ხელახლა უნდა ისწავლოს.

სტუდენტის შეფასება განსხვავებულია საგნების მიხედვით. ზოგიერთ საგანში არის ზეპირი გამოცდა, მოხსენება, წერილობითი დავალება, შუალედური და დასკვნითი გამოცდა. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კითხვები დავუსვით სილაბუსის გაცნობის შესახებ; მათ აღნიშნეს, რომ პირველივე ლექციაზე სტუდენტებს აცნობენ სილაბუსს, შეფასებას და მეთოდებს. ასევე აღნიშნეს, რომ ნებისმიერი დავალების შემდეგ თითოეული სტუდენტის შეფასება ინდივიდუალურად განიხილება და ხდება უკუკავშირი მიწოდება. სტუდენტებს შეუძლიათ ნახონ თითოეული შეფასება და მისი კომპონენტი თავიანთ პლატფორმაზე (რაც ჩვენ ვნახეთ ვიზიტის დროს).

როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შევეკითხეთ შეფასების გასაჩივრების შესახებ და ორივემ აღნიშნა, რომ მათ არასოდეს მიუმართავთ ამისთვის.

პლაგიატთან დაკავშირებით აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მისაღები პლაგიატის პროცენტული მაჩვენებელი 40%-ია, რაც საკმაოდ მაღალია და უნდა შეიცვალოს, რადგან მისაღები 40%-ით შეუძლებელია ობიექტური შეფასება და მუშაობა. ასევე პრობლემატურია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ერთჯერადად დასკვნითი გამოცდით, რადგან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 05 იანვრის N5 ბრძანების 42-ე მუხლის თანახმად, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, დისერტაცია ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი, რომელიც წარმოდგენილია აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, უნდა შეფასდეს ერთჯერადად ფინალური შეფასებით, რაც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პირთა შეფასებებს და დაცვას. ეს წესი ვრცელდება მხოლოდ სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებზე და არა საბაკალავროზე, ამიტომ ეს წესი უნდა შეიცვალოს, რადგან ეწინააღმდეგება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას.

ვიზიტის დროს მოვითხოვეთ და ვნახეთ რამდენიმე საბაკალავრო ნაშრომი და მინდა აღვნიშნო, რომ ისინი არ იყო კარგად შესრულებული, კერძოდ: სქოლიოები საერთოდ არ იყო გამოყენებული, ხოლო სამეცნირო ლიტერატურის სია ძალიან ცოტა იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. (დანართი 1) თვითშეფასების ანგარიში
2. (დანართი 2) პროგრამები და სილაბუსი
3. (დანართი 7) BATU სასწავლო პროცესების რეგულირების წესი:
http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
4. www.batu.edu.ge
5. (დანართი 10) სემესტრული დატვირთვა
6. გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- შეიცვალოს საბაკალავრო ნაშრომის ერთჯერადი შეფასების წესი და ჩამოყალიბდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად.
- შეიცვალოს პლაგიატისთვის დასაშვები 40% და დადგინდეს დასაშვებ პროცენტად 12% და/ან 15%.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდამჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისგან. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ სტუდენტები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი თვითშეფასების ჯგუფში. მათ აღნიშნეს, რომ სურდათ ფოტოგრაფიული ხელოვნების ობიექტის ჩასმა და დაწესებულების თანამშრომლებმა დაამატეს ეს საგანი. ასევე, ისლამური რელიგია შევიდა ძირითად არჩევითი საგნებში. კურსდამთავრებულთა მოთხოვნით დაემატა გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკული საგანი, რადგან შრომის ბაზარი სტუდენტებისგან მეტ პრაქტიკას მოითხოვს.

აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებას აქვს ლექტორთან კონსულტაციის საათები, რომელსაც სტუდენტები აქტიურად იყენებენ.

ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ფეისბუქ ჯგუფებს, სადაც ლექტორები აქტიურად აწვდიან მათ ინფორმაციას ნებისმიერი სიახლის შესახებ. ასევე, თვითმმართველობა ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა პროექტში. კურსდამთავრებულებმა

აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ვებგვერდს და ელ.ფოსტას და მისი საშუალებით იღებენ ინფორმაციას სიახლეების შესახებ.

კურსის განმავლობაში სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა პრაქტიკული დავალება, ისინი მიდიან ძეგლების სანახავად, აღწერენ მათ და შემდეგ ადარებენ ერთმანეთს. როგორც სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციასა და პროექტში, რაშიც ძალიან დაეხმარნენ უნივერსიტეტის ლექტორები და პერსონალი.

მინდა აღვნიშნო, რომ ერთის გარდა ყველა სტუდენტი დასაქმებული იყო თავისი პროფესიით, რაშიც მათ ძალიან დაეხმარა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა.

კურსდამთავრებულებმა გაიხსენეს საბაკალავრო დისერტაციის დაცვა და აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელმა მათ დიდი დახმარება გაუწია ყველაფერში.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დაწესებულებას ბევრი მემორანდუმი აქვს გაფორმებული, რომელთა საშუალებით სტუდენტების ნაწილი სტაჟირებას გადის სხვადასხვა ადგილებში და შემდეგ იწყებს მუშაობას.

უნივერსიტეტში არსებობს წახალისების ფორმები (ნომინალური სტიპენდიები, ერთჯერადი ჯილდოები) სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობისთვის. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის გამორჩეული სტუდენტებისთვის სახელობითი სტიპენდიების მინიჭების წესის მიხედვით, განისაზღვრება 2 საუნივერსიტეტო სტიპენდია - 150 ლარიანი და 5 საფაკულტეტო სტიპენდია - 100 ლარიანი. ნომინალური სტიპენდიები გაიცემა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში. კონკურენტული სტიპენდიების გარდა, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, გამორჩეული მიღწევებისა და აქტიური სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობისთვის შეიძლება გაიცეს ერთჯერადი სტიპენდია 300 ლარის ოდენობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. თვითშეფასების ანგარიში;
2. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
3. BATU წესდება http://batu.edu.ge/text_files/ge_file_3011_1.pdf
4. ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ;
5. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
6. www.batu.edu.ge
7. ინტერვიუების შედეგები;
8. მემორანდუმები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ ეხება

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტა და დოქტორანტა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას უძღვებიან მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პროფესორები, რომელთა საქმიანობა ეფუძნება უნივერსიტეტის კანონმდებლობასა და წესებს, აგრეთვე საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“. ისინი ასევე ფლობენ აუცილებელ კომპეტენციებს პროგრამის განსახორციელებლად და სწავლის სასურველი შედეგების მისაღწევად. ამ მხრივ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის საერთაშორისო რეპუტაციის მქონე მაღალკვალიფიციური აკადემიკოსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები ასევე არიან მაღალი დონის პროფესიონალები, ფართო სამეცნიერო და საერთაშორისო გამოცდილებით.

და ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა მუდმივად ფასდება უნივერსიტეტში შემუშავებული წესების მიხედვით. დაკავებული თანამდებობის შესაბამისად დგინდება მათი ვალდებულებები კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით. პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესს წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით; ასევე, შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების დახმარებითა და შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, პროგრამაში ჩართულ გუნდთან ერთად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ BATU-ში მოქმედებს სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია. ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მიმართულებების მიხედვით.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს კარგად შედგენილ სასწავლო პროგრამას, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მაღალი დონის აკადემიური და მოწვეული პერსონალით. ისინი ემსახურებიან, კურიკულუმისა და სილაბუსების შესაბამისად, მაღალკვალიფიციური სტუდენტების ჩამოყალიბებას.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამის რაოდენობრივი მონაცემები ასეთია:

- პროფესორი: 6;
- ასოცირებული პროფესორი: 4;
- ასისტენტ პროფესორი: 1;
- აფილირებული პერსონალი: 5;
- მოწვეული პერსონალი: 15;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობაა 11/16; თანაფარდობა 0.69.

აფილირებული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობაა 11/43; თანაფარდობა 0.26;

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს აქვს ძლიერი სამეცნიერო, პრაქტიკული და საგანმანათლებლო გამოცდილება; ისინი ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას სამეცნიერო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შესაბამისი პროფილის შემოქმედებით სახელოსნოებში.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, ხელოვნების ისტორიის დარგში შესაბამისი დამოწმებული განათლებითა და საჭირო კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია, რათა დახმარება გაუწიოს პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, რომელიც რეგულირდება „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესებით“; მოწვეულ პერსონალს, სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, აღიარებული სპეციალისტები წარმოადგენენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (I და II კატეგორიის სპეციალისტები). არსებობს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ყოველ სემესტრში ახლდება აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსს ატარებს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი (I ან II კატეგორიის სპეციალისტი). აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია და უზრუნველყოფს აკადემიური რესურსის სტაბილურობას და პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სტუდენტთა რაოდენობას და უზრუნველყოფს აკადემიური რესურსის სტაბილურობას და პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართულია უნივერსიტეტთან აფილირებული 11 აკადემიური პერსონალი (6 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი) და სასწავლო პროცესში ჩართული I და II კატეგორიის 16 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა არის 11/16.

- BATU-ს უმაღლესი განათლების აკრედიტაციის პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართი N1-ის – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ 23.04.2023 (4.1. ადამიანური რესურსები) მიხედვით, II კატეგორიის სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმს: პირი უნდა ფლობდეს მაგისტრის ხარისხს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ წოდებას. გამონაკლის შემთხვევებში, თუ არ არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, შესაძლებელია მოწვეულ იქნას I ან II კატეგორიის ბაკალავრის ან თანაბარი აკადემიური რანგის სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილია წაიკითხოს ლექცია, ჩაატაროს ან მონაწილეობა მიიღოს სასწავლო ან/და სამეცნიერო/კვლევით/საშემსრულებლო-შემოქმედებით პროცესებში; იყოს საბაკალავრო/სამაგისტრო, სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო-შემოქმედებითი სამუშაოების ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, განახორციელოს კანონმდებლობით ნებდართული სხვა უფლებამოსილებები (BATU-ს შინაგანაწესის მე-10 და მე-11 დებულებები).

საბაკალავრო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ლექციების კურსის ჩატარება, ასევე საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ან თანახელმძღვანელობა გულისხმობს გარკვეულ გამოცდილებას და შესაბამის პასუხისმგებლობას. თუ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი არ არის აღჭურვილი ზემოთ ჩამოთვლილი უნარებით, დაუშვებელია მისი ჩართვა, თუნდაც გამონაკლისის სახით, განათლების პროცესში.

საკადრო პრობლემების მოსაწესრიგებლად სასურველია მემორანდუმის შემუშავება და გაფორმება ქვეყნის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მის ფარგლებს გარეთ. ეს დიდად შეუწყობს ხელს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე BATU-ს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

სასურველია, პრიორიტეტი მიენიჭოს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო პროცესში მოწვეული კადრების სახით.

ზოგადად, პროგრამის ადამიანური რესურსები, მათ შორის ფაკულტეტი და ადმინისტრაცია, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს პროგრამის მიზნების განსახორციელებლად და მისაღწევად, ასევე ხარისხიანი სწავლებისა და სასწავლო აქტივობის გარანტიას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
---	---	---	--	--

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი ⁷	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	11	5	7	11
– პროფესორი	6	3	4	6
– ასოცირებული პროფესორი	4	1	2	4
ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
– ასისტენტი	0			
მოწვეული პერსონალი	16			–
სამეცნიერო პერსონალი	0			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და დანართები
- აფილირებული, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები (CV-ები);
- გასაუბრებები;
- დაწესებულებაში ვიზიტები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიური პროგრამისა და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა მოვალეობებისა და საქმიანობის წესი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ვებგვერდი
- BATU-ს უმაღლესი განათლების აკრედიტაციის პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართი N1 – საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორია და თეორია“ 23.04.2023წ.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ თავი აარიდოს ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური წოდების მქონე პირის ჩართვას სასწავლო პროცესში II კატეგორიის სპეციალისტის რანგში.

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ისარგლებლებს მათი საერთაშორისო ცნობადობის გაზრდით, საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ჟურნალებში კვლევების წარდგენითა და გამოქვეყნებით.

პრობლემების მოსაგვარებლად, სასურველია, შემუშავდეს და გაფორმდეს მემორანდუმები ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

სასურველია, მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მქონე პირები ეტაპობრივად ჩაერთონ სასწავლო პროცესში მოწვეული კადრების სახით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2. მაგისტრებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
– პროფესორი			
– ასოცირებული პროფესორი			
– ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის პერსონალის შეფასების დებულება და რეგულარულად ახდენს შეფასების შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს წლიური დატვირთვის მიხედვით მათი ინდივიდუალური მუშაობის ანალიზს. ინდივიდუალური დატვირთვის შესრულებას განიხილავს ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო. აკადემიური პერსონალის დატვირთვის კომპონენტებია: სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობაში. უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში მოწმდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (ლექციების ხარისხი, პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვა ტიპის გაკვეთილები). უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიური თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტებისა და პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა (გამოკითხვის ან/და ინტერვიუების მეშვეობით) და შედეგების გაანალიზება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას: მათ ჩართულობას სილაბუსების განახლების პროცესში, სასწავლო მასალების, ლიტერატურის მომზადებას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა, სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართულობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და ა.შ. შედეგები მხედველობაში მიიღება აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცესში.

უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგამომცემლო განყოფილება სისტემატიურად უწევს კონსულტაციას თანამშრომლებს კვლევებთან დაკავშირებულ საკითხებზე, აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმის, კონფერენციისა და სამეცნიერო პუბლიკაციის შესახებ.

უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით, უნივერსიტეტში იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები. უნივერსიტეტი

არის რეგიონში კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით კონფერენციების დამფუძნებელი დაწესებულება. დაბეჭდილია რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციის მასალა და მათი ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროექტში. უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტის პროფესორებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩასატარებლად და მათი გამოცდილების გასაზიარებლად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გეგმები სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებებისათვის. გეგმაში მითითებული იყო ტრენინგები და სხვა აქტივობები პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასების წესი
- აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურა: http://batu.edu.ge/text_files/ge_file_306_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებების გეგმა. აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 13 ნოემბრის No. 05-01/01 გადაწყვეტილება
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები
- სამეცნიერო მუშაობის ანგარიში 2018-2022
- პერსონალის განვითარების ტრენინგების ჩამონათვალი
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები
- უნივერსიტეტის მუშაობის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: რექტორის ანგარიშები 2019-2021 წლებში: <http://batu.edu.ge/main/page/2-8/index.html>
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად..

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

BATU-ს მიერ შემოთავაზებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში“ შექმნილია უნივერსიტეტის წესდებასთან და კონკრეტულ საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობით. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში გადაწყვეტ როლს თამაშობს უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უნივერსიტეტმა შექმნა და ინარჩუნებს საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს მისი ყველა პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების მხარდასაჭერად. ეს რესურსები ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ის ინსტრუმენტები და საშუალებები, რაც მათ სჭირდებათ სწავლის დაგეგმილი შედეგების მისაღწევად.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს მთელ რიგ ობიექტებსა და აღჭურვილობებს, რომლებიც სპეციალურად მორგებულია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის საბაკალავრო პროგრამაზე; ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკები, არქივები და ციფრულ მონაცემთა ბაზები, რათა შეძლონ კვლევების ჩატარება და ცოდნის გაღრმავება ხელოვნების ისტორიის, ხელოვნების კრიტიკისა და თეორიის სფეროში.

ბიბლიოთეკას აქვს მუდმივად განახლებადი ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა (EBSCO EP Package ELITE). საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა შპს „ინოვაციური სისტემების მენეჯმენტთან“ გააფორმა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე პერსონალს და სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ შესაბამისი ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით.

თუმცა, გაირკვა, რომ ბიბლიოთეკის ამჟამინდელი ფართი სტუდენტების კონტინგენტისთვის საკმაოდ ვიწროა და წიგნების, ისევე როგორც ინფორმაციული სერვისების ხელმისაწვდომი ოდენობა ძალიან მწირია. ბიბლიოთეკას სჭირდება შემდგომი გაუმჯობესება და კარგი ინვესტიცია, რათა სტუდენტებს მიაწოდოს უახლესი ლიტერატურა თანამედროვე ხელოვნებისა და დიზაინის საერთაშორისო სფეროებიდან, როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში, და ეს ბიბლიოგრაფია საბოლოოდ უნდა აისახოს სასწავლო პროგრამაში და კურსის სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- არსებული ინფრასტრუქტურა
- თვითშეფასების ანგარიში და დანართები
- გასაუბრებები
- დაწესებულებაში ვიზიტი
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო მონაცემთა ბაზები
- ელექტრონული სასწავლო პორტალი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ფიზიკური რესურსებისა და მთელი სივრცის განახლება გარკვეული პირობების გათვალისწინებით უკეთესი ვენტილაციისთვის, განათებისთვის და ა.შ.

- შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს ფინანსურ კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ სტაბილურობას. უნივერსიტეტის ბიუჯეტი ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში სტაბილური და დაბალანსებულია. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება ორი ძირითადი წყაროდან: (1) საქართველოს მთავრობის მიერ უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი სუბსიდიები და (2) უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავალი, რომელიც მოიცავს (ა) სუბსიდიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისგან და (ბ) საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასურს. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გამოითვლება: პროგრამებში ჩართული პერსონალის ხელფასები, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა, ინვენტარი და სახარჯო მასალები, არსებული ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია და მოვლა, კომუნალური ხარჯები.

პროგრამისთვის ცალკე ბიუჯეტი არ იყო წარმოდგენილი. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ინდივიდუალური პროგრამული ბიუჯეტი არ არის შემუშავებული, რადგან პროგრამა ფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტიდან, თუმცა შიდა მოხმარებისთვის ადმინისტრაციამ გამიანგარიშა პროგრამის მოქმედების ღირებულება. საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებები ფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტიდან. ექსპერტთა ჯგუფი გვირჩევს ინდივიდუალური პროგრამისთვის ინდივიდუალური ბიუჯეტის (არა მხოლოდ ხარჯების, არამედ სავარაუდო შემოსავლების) შემუშავებას. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას. ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი 2021-2023 წლებისთვის
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შემუშავდეს პროგრამის ინდივიდუალური ბიუჯეტი. ეს ხელს შეუწყობს პროგრამების უფრო ეფექტურ და ეფექტიან ფინანსურ დაგეგმვასა და მართვას.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა შეიმუშაოს ფინანსების მოზიდვის სტრატეგია პროგრამის ბიუჯეტის ზრდის უზრუნველსაყოფად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან(სამსახურებთან)/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება ისეთ რეგულაციებს, როგორცაა „ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წესდება“. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიკოსები და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაცია და დამსაქმებლები) ჩართულობას პროგრამის ხარისხის შეფასებაში. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების კოორდინაცია და მონიტორინგი შეთანხმებულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტებისა და დარგობრივი დეპარტამენტების მიერ. უნივერსიტეტი ატარებს აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციის, სტუდენტების გამოკითხვებს, ასევე აანალიზებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან თანამშრომლობით ჩაატარეს პროგრამის თვითშეფასება. სამუშაო ჯგუფების სამუშაო პროცესი პროგრამის ხელმძღვანელების ხელმძღვანელობით და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ფასილიტაციით მიმდინარეობდა როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურად. კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რექტორის 2023 წლის 07 თებერვლის N101-08/04 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი თვითშეფასების მიზნით. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყო ორივე სამუშაო ჯგუფში, რათა პროგრამა შესაბამისობაში ყოფილიყო კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან. თვითშეფასების პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინების მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის წესების არსებულ დებულებებთან შეუსაბამობის ცალკეული შემთხვევების აღმოფხვრა (მაგ.: საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესები; საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც სტუდენტების მუშაობის შეფასება უნდა მოიცავდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაო ეფუძნება „დაგეგმე–გააკეთე–შეამოწმე–იმოქმედე“ პრინციპს. უნივერსიტეტი იღებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ანგარიშებს. პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა მიიღო სასწავლო პროცესის წარმართვის სპეციალური რეგულაცია „კორონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა“ (რექტორის ბრძანება №01-08/26; 19 ივნისი, 2020 წ.), რომელიც ძირითადად აღწერს რა და როგორ უნდა გაკეთდეს კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, როდესაც ლექციები ტარდება უნივერსიტეტის შენობაში ფიზიკური ფორმით. კიდევ ერთი დებულება (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; 06 ოქტომბერი, 2020 წ.) განსაზღვრავს, თუ როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, როდესაც ლექციები ელექტრონულად/ონლაინ ტარდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება http://batu.edu.ge/text_files/ge_file_20_1.pdf
- უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი:
http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/ირიბი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
- თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმები და მონიტორინგის ანგარიშები
- შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის მიხედვით;
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- უნივერსიტეტის მუშაობის თვითშეფასების ანგარიში
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; 2020 წლის 06 ოქტომბერი
- კორონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა (რექტორის ბრძანება №01-08/26; 2020 წლის 19 ივნისი)
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის გარე შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აკრედიტაცია და ავტორიზაცია. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია არის პროგრამული შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან. გათვალისწინებული იქნა 2018 წელს, წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. 2021 წელს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა სამწლიანი თვითშეფასების ანგარიში.

უნივერსიტეტი იყენებს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და ურთიერთშეფასების შედეგებს, როგორც ხარისხის გარე შეფასების ინსტრუმენტს. გარე შეფასების ინსტრუმენტად უნივერსიტეტი ასევე იყენებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ურთიერთშეფასების შედეგებს. მოდიფიცირებული პროგრამის სამუშაო ვერსიის გარე შეფასება განახორციელა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #1189; 05.12.2018 და წინა აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტების შეფასების ანგარიში;
- განმავითარებელი შეფასება უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;
- დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები;

- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს და ანალიზებს კვლევების შედეგებს და სტატისტიკურ მონაცემებს. უნივერსიტეტში ყველა გამოკითხვა ტარდება ელექტრონული სისტემით. ყოველი სავალდებულო სასწავლო კურსის ბოლოს სტუდენტები (კითხვების საშუალებით) აფასებენ კურსს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვებს, ისევე როგორც დამსაქმებელთა გამოკითხვებს. კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების

რჩევები რეგულარულად განიხილება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზნით, რაც შეიძლება გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების, სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის შეცვლის ან/და არჩევითი კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და ლიტერატურის განახლების საფუძველი. კვლევის შედეგების გათვალისწინება პროგრამის შემდგომი განვითარებისა და მოდიფიკაციის წინაპირობას წარმოადგენს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების პროცესის შეფასება წინასწარ განსაზღვრული საკლასო დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.

პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში უნივერსიტეტი ახორციელებს უნივერსიტეტის საქმიანობის თვითშეფასებასა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას. ფასდება აკადემიური პერსონალის პედაგოგიური, შემოქმედებითი/სამეცნიერო-კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობა.

პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამა შეადარა უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს. მომზადებული დეტალური შედარებითი ანალიზი წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის/დეპარტამენტის შეხვედრის #3 ოქმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
http://batu.edu.ge/text_files/ge_file_20_1.pdf
- უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი:
http://batu.edu.ge/text_files/ge_file_2260_1.pdf
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი
- პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- პროგრამის სწავლის შედეგების ნიშნულები: პროგრამის შეფასება (პირდაპირი/ირიბი შეფასება) და შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად
- თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- დეპარტამენტის სხდომის #3 ოქმი

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმები და მონიტორინგის ანგარიშები
- შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის მიხედვით;
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების შედეგები და ანალიზი
- წინა სააკრედიტაციო ჯგუფის ექსპერტების შეფასების ანგარიში (2018) <https://eqe.ge/media/10905/20190307173132189.pdf>
- განმავითარებელი შეფასება უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ;
- დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- უნივერსიტეტის მუშაობის თვითშეფასების ანგარიში
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ელექტრონული/დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესი; რექტორის ბრძანება № 04-01/07; 2020 წლის 06 ოქტომბერი
- კორონავირუსის გავრცელების პრევენციის სამოქმედო გეგმა (რექტორის ბრძანება №01-08/26; 2020 წლის 19 ივნისი)
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შედეგები;
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ საკლასო მუშაობაზე დაკვირვების შაბლონის გამოყენებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პერიოდული
შეფასება**

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე: „ხელოვნების ისტორია და თეორია“, დონე 6

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამი შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
კოსტას მანტუზალოსი,
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
 ნატალია ტურაბელიძე

ია ნაცვლიშვილი
 ლიანა ზაგაშვილი